საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№331/13

2020 წელი, 2 მარტი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრების: თამარ ხულორდავას, ირინე ფრუიძის, ბექა ნაცვლიშვილის, გიორგი გაჩეჩილაძის, შოთა ხაბარელის, ზაზა ხუციშვილის, გიორგი მოსიძის, გუგული მაღრაძის, გიორგი ხატიძის, გურამ მაჭარაშვილის, სოფიო ქაცარავას, დიმიტრი ცქიტიშვილის, ნინო წილოსანის, აკაკი ზოიძის, თამარ ჩუგოშვილის, გიორგი ვოლსკის, ენძელა მაჭავარიანის, დიმიტრი ხუნდაძის და არჩილ თალაკვაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ (07-3/368; 12.06.2019) საქართველოს კანონის პროექტების I მოსმენით განხილვის ვადა ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტს (წამყვანი კომიტეტი) და იმ კომიტეტს, რომლის დასკვნაც უნდა ერთოდეს კანონპროექტებს, 2020 წლის 27 თებერვლიდან შესაბამისად გაუგრძელდეთ 30 დღით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

არჩილ თალაკვაძე